

ახალი ჩართული სალიტერატურო ენის ნორმაზირების  
ისტორიიდან

(„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“)\*

ახალი ქართული სალიტერატურო ენის გახალხურების პროცესს, რომელიც XIX ს-ის 60-იანი წლებიდან დაიწყო და რამდენიმე თე-  
ულ წელს გაგრძელდა, ბუნებრივად მოჰყვა სალიტერატურო ენაში  
დიალექტური მასალის შეჭრა და პარალელურ ფორმათა გაჩენა. მა-  
შინვე დაისვა სალიტერატურო ენის უნიფიკაციის საკითხიც (რომელია  
სწორი, როგორ ვწერთ: წავიდენ თუ წავიდნენ, კარგად თუ კარგით, ალგიარებ თუ ვალიარებ, წითელ ვარდის თუ წითელი ვარდის...).

საქმეს ართულებდა უცხოენოვანი ლექსიკის უხვად შემთხველაც.

დაიწყო ზრუხვა და ბრძოლა სალიტერატურო ენის დასახვეწად,  
მაგრამ მაღვე ცხადი გახდა, რომ სალიტერატურო ენაში შექმნილი  
სიჭრელის დაძლევა, ყველასთვის სავალდებულო ერთიანი ნორმების  
დაწესება არ მოხერხდებოდა ოც პრესის ფურცლებზე გაშლილი პო-  
ლემიკით, ოც ახალ-ახალი გრამატიკების შექმნით და ოც ერთი რო-  
მელიმე პირის მიერ შემუშავებული მართლწერის წესებით. თანდათან  
ჩამოყალიბდა ახრი, რომ საჭიროა „ენის მცოდნენი“ შეიკრიბონ, იმს-  
ჭელონ მ სადაც საკითხებზე და მიაღწიონ რაიმე შეთანხმებას. მაგ-  
რამ ეს იყო მხოლოდ სურვილი, პრაქტიკულად კი ასეთი ლონისძიების  
თავის დამდგმელი არავინ ჩანდა. ისევ ი. ჭავჭავაძემ გადადგა ეს ნაბი-  
ჭი 80-იან წლებში. ილიას განუზრახვეს საორგოფო საკითხთა ერთი

\* ვეგრძნობათ ენათმეცნიერების ინტერესტის ქართული რეტრეალების კულ-  
ტურის განკოფალებაში დაცულ მასალებს, რომელიც XIX ს-ის ქართული პრეს-  
დან ამოერიბეს განკოფილების თანამშრომლებმა (მ. იურალიშვილი, თ. გვერდწი-  
თელია, თ. ზურაბიშვილმა, გ. კალანდაძემ, ც. კალაძემ, ა. პაპიძემ, მ. ტაბაძემ, მ. შინ-  
ჭიაშვილმა და ნ. ქართიშვილმა), გ. ურარდინიას და სხვებადობის არქივებს.

1 1884 წ. 24 მარტის ნიმერში „ივერია“, „წერდა“, „წევენ ვარჩიეთ შეგვერდნა“,  
რაოდენადაც შესაძლოა, ქართული ენის მცოდნენი და ყველა საცილობელი საგრამ-  
ტიკო საგნება გავერევათ. ამას შევულებით კადეც.

რიგის განხილვა-გადაჭრა „ენის მცოდნეთა“ ერთიანი ძალებით და სა-თანადო ზომებიც მიუღია: 1886 წ. 8 მარტს მოუწვევია თათბირი, დაუგზავნია უწყებები, რათა მოწვეულ პირთ ამ საკითხებზე წინასწარი დაფიქრების საშუალება ჰქონდათ<sup>2</sup>.

დღემდე შემორჩენილი ერთადერთი ცალი ამ უწყებისა, აღმოჩენილი პ. უმიკაშვილის არქივში, გამოქვეყნა ა. შანიძე 1939 წ.<sup>3</sup>

თათბირზე სამსკელობოდ ილიას გამოუტანია შემდევი საკითხები:

1. ცოდვილი პირისა, ცოდვილის პირისა თუ ცოდვილ პირისა? (მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვაში);
2. კაცად თუ კაცათ?
3. როდის ვიხმაროთ მ?
4. ჸ-ს და ს-ს შეუძლიათ თუ არა ერთმანეთის მაგივრობა გასწიონ?
5. ძველებური თუ ძველური, გენიალური თუ გენიოსებური?
6. კაცური / კაცებური, ღვთიური / ღვთაებური ერთნაირი მნიშვნელობისა?
7. რა ნიშილავი (მოვიდა რა) უნდა ვიხმაროთ თუ არა და რა შემოხვევაში?
8. -ებ-იან მრავლობითში დასმულ ძველებურებისთვის შემასმენელი როდის უნდა ვიხმაროთ მრავლობითში, ან: აუცილებელია თუ არა შემასმენელი ვიხმაროთ მრავლობითში, როცა ძველებურების აქცი დაბოლოება -ნი.
9. წინადადების აგებისას ზმნური ფორმებია უფრო ბუნებრივი ქართულისათვის თუ სახელური?

სამწუხაოდ, არ შემოგრძენია ცნობა, როგორ წარიმართა ეს თათბირი, რა ხსისთას მსჯელობა გაიმართა, ვინ მიიღო მონაწილეობა, რა გადაწყდა ამ საკითხების შესახებ. მაგრამ მკვლევართა დაკვირვებით, ამ თათბირის კვალი უნდა ეტყობოდეს „ივერიასაც“ და ილიას ენასაც. კერძოდ, ონიშანვენ, რომ -დნენ დაბოლოების, მსაზღვრელ-საზღვრულის სრული დაბოლოების (თავისის თითების), ჸ/ს-ს ხმარების წესები 1886 წლიდან „ივერიასა“ და ილიას ნაწერებში იმდენად მყარია, რომ შეიძლება ვაიფიქროთ, ეს საკითხები თათბირზე გადაწყდა და მოწესრიგდა<sup>4</sup>.

დოკუმენტურად არ ჩანს, რომ მსგავსი თათბირი სხვაც ჩაეტარებინის ილიას, მაგრამ ალბათ ეს ერთი თათბირიც კი (თუ იგი ჩატარდა) განიტკიცებულა იმ აზრს, რომ ენის საჭიროობობრივ საკითხები სპეციალისტთა შეკრებაზე გადაწყვეტილიყო, სადაც საკითხების თაობაზე ერთიანი აზრი შემუშავებულიყო და რამდენიმე ფორმიდან ერთი დაკანონებულიყო სალიტერატურო ენაში სახმარიან. მაგრამ არც ცხრაასიან წლებში მოხერხებულა ასეთი შეკრება, არავინ ჩანდა ამ

2 წელი მოსწევე ბარათზე აღნიშნული არ არის, დააღვინა ა. შანიძემ.

3 ეს ბარათი გამშეორებით სრულად დაბეჭდა ზ. ჭუმბურის რიცხვში. ზისი ას წლის წინათ, გ. „დროშა“, 1986, № 4 და დედანის მესვეურია, გამ. „კომუნისტი“, 1987, 2 იანვარი.

4 ზ. ჭუმბურის დედანის მესვეური, „კომუნისტი“, 1987, 7 იანვარი.

საქმის გამძლოლი. ენის საკითხებშე ზრუნვა და მსჯელობა ისევ ინდი-  
ვიდუალური წესით მიმდინარეობდა. საბედნიეროდ, XX ს-ის ათიანი  
წლებისათვის ამ დიდ ეროვნულ საქმეს გამოუჩნდა ქომაგი და ენის  
საკითხების განხილვას სისტემატური, ორგანიზებული ხსნათი მიეცა.  
ეს იყო „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“.

1915 წელს უურნალი „განითლება“ იუწყებოდა: „ქართული  
კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ გამგეობამ ერთი ფრიად სა-  
ჭირო საქმის მოგვარება იყიდა — ეს საგანი გახლავთ სერთო მარ-  
ლოტერის დამყარება ჩეცეს მწერლობაში და გამორკვევა სხვადასხვა  
საგრამატიკო წესებისა“<sup>5</sup>.

ეს საზოგადოება შეიქმნა „ქართული კულტურის მოყვარულთა  
წრის“ ბაზაზე, რომელიც 1907 წელს ჩამოყალბეს მოსკოვის უნი-  
ვერსიტეტის სტუდენტებმა იურიდიული ფაფულტეტის სტუდენტის გი-  
ორგი უორდანის ინიციატივითა და თავმჯდომარეობით. უნივერსიტე-  
ტის რექტორის ნებართვით 1909 წ. 24 ნოემბერს წრეს ი. ჭავჭავაძის  
სახელი მიენიჭა. წრის მიზანი იყო გაეცნო ქართული კულტური რუსი  
ინტელიგენციისათვის. იყითხებოდა სტუდენტებისა და პროფესორ-  
მასწავლებლების (ალ. ხახანაშვილი, ა. ვორმესი, გ. ფრიჩე, პ. საყულინა,  
ილ. გაგახიშვილი და სხვ.) მოხსენებები ქართული კულტურის სხვა-  
დასხვა სფეროდან (ქართველი ხალხის ისტორია, მწერლობა, მუსიკა,  
ადათ-ჩეცულებები, საადათო სამართალი და სხვ.), მართავდნენ სი-  
უბილეო სხდომებს, ქართულ საღამოებს, რომლებშიც ქართველ სტუ-  
დენტებთან ერთად მონაწილეობდნენ რუსული ხელოვნების მოღვაწე-  
ებიც (ალ. სუმბათაშვილ-იუსინი, ლ. სობინოვი, ვ. კაჩალოვი).  
1908 წ. 23 პრიილს გაშეთმა „ამირანთა“ გ. უორდანის მოკლე ინფორ-  
მაციით საქართველოს აუწყა მოსკოვის უნივერსიტეტში „ქართული  
კულტურის მოყვარულთა წრის დაარსება“. 1912 წ., უნივერსიტეტის  
დამთავრების შემდეგ, ამ წრის წევრები დაბრუნდნენ საქართველოში  
და იმავე წელს თბილისში დაარსეს „ქართული კულტურის მოყვა-  
რულთა საზოგადოება“<sup>6</sup>.

ინიციატივა ამ საზოგადოების დაარსებისა ეკუთვნის გ. უორ-  
დანის. მანვე შეაღინა წესდების პროექტი, რომელსაც გ. უორდანის  
გარდა ხელი მოაწერა ექვსმა პირმა: მიხეილ ლონგინოზის ხე კავკა-  
ზენი,

5 ქურნ. „განითლება“, 1915, № 8-9, გვ. 71-72.

6 ევემონ ვახმარე შემოკლებას: ქვმ საზ-ზა. საზ-ზას მეშაობის შესახებ ის.  
ლ. გოლე რიცხვ, ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მოღვაწეო-  
ბის ისტორიიდნ, „მნათობი“, 1970, № 1; მისი გენერალური ქვმ საზ-ზას ისტორია-  
ისათვის, „საისტორიო მოაშე“, 1973, № 27—28; 6. თარხნა შვილი, საზოგა-  
დოებრივი საქმიანობის უანგარო სიყვარულით, სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულე-  
ტენი, №47-48, 1985

ძემ, ლეონიდე ალექსანდრეს ძე გაბაშვილმა, სილოვან გრიგოლის ძე გაბუნიამ, ქეთევან გიორგის ასულმა ჭავახიშვილმა, მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელმა, ვასილ გრიგოლის ძე კარბელაშვილმა. ეს პირნა ითვლებათ ქემ საზ-ბის დამფუძნებელ წევრებად.

წესდების პროექტი 1912 წ. სექტემბრის პირველ რიცხვებში და-სამტკიცებლად წარედგინა თბილისის გუბერნატორს. 29 ოქტომბერს ქემ საზ-ბა დამტკიცებულ და ჩარიცხულ იქნა ნებადართულ საზოგა-დოებათ სიაში. შეორე დღეს, 30 ოქტომბერს, დაიწყო საზოგადოების მოქმედება პირველი დამფუძნებელი კრებით, რომელიც გაიმართა მის. მაჩაბელის ბინაზე. აირჩიეს საბჭო: გ. უორდანია (თავმჯდომარე), დ. კასრაძე (მდგიანი), სილ. გაბუნია (თავმჯდომარის ამხანავი), დ. წით-ლანაძე, რ. გაბაშვილი, ვ. კარბელაშვილი (ხაზინადარი). კრებამ მიიღო წესდება.

ქემ საზ-ბა მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის ნებაყოფლობი-თი ორგანიზაცია იყო, რომელშიც სულ მალე გაერთიანდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია.

თავდაპირველად საზ-ბაში იყო 12 წევრი (აქედან 7 დამაარსებე-ლი), 1917 წელს — 318, 1927 წელს კი — 609. პყავდათ საპატიო წევ-რები: აკ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, მ. ჭანაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ე. თაყაიშვილი, თ. უორდანია, მის. მაჩაბელი, ალ. ცაგარელი, ქ. სარა-ჯიშვილი, გ. ჯამბაკურ-ორბელიანი, ეკ. გაბაშვილი, ალ. ყიფშიძე, ეპისკ. კირიონი, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, მარჯორი უორდორობი, ავალ. ქს. მი-ლერი, პროფ. მაქს. კოვალევსკი, კონსტ. ბალმონტი, ალ. სუმბათა-შვილ-იუჟინი, ა. იაბლონჩინა, ე. გოგოლევა, ს. იუდინი, ქს. აქსიონოვი, პროფ. ალ. ხახანაშვილი, მ. გორკი, პროფ. ფ. ოსტროვგრადოვი, კ. მარ-ჯინიშვილი და სხვ.

როგორც წესდებაში წერია, საზოგადოება მიზნად ისახავდა „უო-ველმხრივ შეესწიველა ქართული კულტურა (სახელდობრები: ენა, მწერ-ლობა, საზოგადოებრივობა, სამართალი, ეთნოგრაფია) და გაეცნო-ივი რსუსთის საზოგადოებისათვის“<sup>7</sup>.

საზ-ბის საქმიანობას წარმართავდა გამგეობა (საბჭო) და საერთო კრება. გ. უორდანიასა და საზ-ბის საბჭოს მუშაობას ახასიათებდა იშ-ვიათი აქურატულობა, კვალიფიციურობა, უდიდესი პასუხისმგებ-ლობა, სანაქებო სიზუსტე, საქმის სიყვარული, უანგარი თავდადება, წესრიგიანობა. საზოგადოების არ ჰქონდა თავისი ბინა, რაც დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა. სხდომებისა და სხვადასხვა ღონისძიებებისა-თვის ისინი თხოულობდნენ ხოლმე ხან სათავდაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს დარბაზს, ხან ქართულ კლუბს, ხანაც — ზუბალაშვილე-

<sup>7</sup> ქემ საზ-ბის წესდება, §I, 1912, 29. X.

ზის სახლს ან მის. მაჩაბლის პინას... ოქმებში ხშირად შევტკლებით საჭ-ბის მაღლობას, დარბაზის დათმობისათვის რომ უხდიან ამ დარბაზის მფლობელს.

1921 წ. საზ-ბას მიენიჭა ალ. ხახანაშვილის სახელი.

1912-1928 წლებში ქემ საზ-ბამ დიდი მამულიშვილური საქმეები იყეთა: იყითხებოდა მეცნიერულ-პოპულარული მოხსენებები საქართველოს წარსულიდან, ქართული კულტურის ისტორიიდან, ქართველი ხალხის ადამ-ჩევულებების, ადათობრივი სამართლის, ქართული ლიტერატურის, მუსიკის შესახებ, იმართებოდა ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა იუბილეები, ხელოვნების საღამოები, ასევე, შეხვედრები თვალსაჩინო რუს მეცნიერებსა და კულტურის მოღვაწეებთან, აწყობდნენ მატერიალური კულტურის ნიმუშთა გამოფენებს (ობილისში, მოსკოვში და ლენინგრადში), ხელს უწყობდნენ ქართული სიმღერების გუნდების ჩამოყალიბებას, საოცერო კულტურის განვითარებას (აქ წილითხა პ. მირიანაშვილმა „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტო, ზ. ფალიაშვილმა კი შესარულა ნაწყვეტები ოპერიდან), მეურვეობდნენ ქართულ დასს და ზრუნავდნენ თეატრის აშენებაზე, კრებდნენ სალექსიკონს მასალას, ხალხურ სიმღერებს, ნიშავრენ პრემიებს, სცემდნენ წიგნებს და ბროშურებს, დახმარებას უწევდნენ ხელმოყლე მწერლებს, ააგდეს მწერალთა დასასვენებელი სახლი წაღვერში...

ასეთ საზოგადოებას არ შეიძლებოდა ყურადღების გარეშე დარჩენლა ქართველი ხალხის მეობის უტყუარი ნიშანი — ქართული ენა. მათ მიზნად დაისახეს სკოლასა და დაწესებულებებიდან განდევნილი ქართული ენის როლისა და ავტორიტეტის გაზრდა, მისი ფუნქციების განმტკიცება, მისი დახვეწისა და მონოლითურობისათვის ბრძოლა. საზოგადოების კრებებში ისმენდნენ მოხსენებებს ქართული სალიტერატურო ენის საჭირობო საკითხებზე. საოცერო სიყვარულითა და გულისხმიერებით, საერთოდ მოჰლი თავისი საქმიანობაზე ქართველ ხალხს დედაენის სიყვარულს, მასზე ზრუნვის სურვილს უღვივებდნენ.

საზოგადოების მუაშობის მოკლე ანგარიშში (1916 წ.) უკითხულობთ: „საზოგადოების კრებებს არა მარტო წმინდა სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ, მათი ლანიშნულება ისიც არის, რომ პრაქტიკულად შეაჩინონ ჩევნი საზოგადოება ქართულ ლაპარაკს, ქართულ აზროვნებას“<sup>8</sup>. ხოლო საზოგადოების დამცურნებელ კრებაზე (1912 წ. 30 ოქტომბერი) მიღებულ გადაწყვეტილებაში წერია: „1. საზოგადოე-

<sup>8</sup> საქ. ცსა, ფ. 2094, საქმე № 10, გვ. 2. იხ. დეტაქტე, მასალები ქემ საზ-ბას ისტორიისათვის, „საისტორიო მომბე“, 1973, № 27-28, გვ. 271.

ბის კრების ოქმებიც უთულდ ქართულად უნდა იწერებოდეს. 2. ყოველგვარი კრებები ქართულად უნდა იწარმოებოდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ქართული კულტურის პოპულარიზაციის, მიზნით კრების არაქართველები იქნებიან მოწვეულნი. 3. საზოგადოების სახელით მიწერ-მოწერა ქართულად იწარმოებოდეს”<sup>9</sup>.

ექმ საჩ-ბამ შეძლო მოენახა პრაქტიკული გზა ქართული მართლწერის საპირბოროტო საკითხების გასარკვევად და მოსაგვარებლად. 1914 წ. 22 იანვარს საბჭოს კრებაზე გადაწყდა: „ისტორიისა და ენის ფორმებრივ გამოსაყვლევად სისტემატური ლექციების პართვა”<sup>10</sup>, ხოლო იმავე წლის 7 თებერვალს უკვე კონკრეტული ღონისძიება დაისახა. საბჭოს კრების ოქმში წერია: „გამოირკვა, რომ ახლო მომავლში შესაძლებელია ორის მოხსენების გამართვა: მ. ჯინაშვილი — საინგილოს შესახებ და პ. მირიანშვილი — ქართული გრამატიკის საკითხთა მოწესრიგებაზე”<sup>11</sup>. ასე დაიწყო მუშაობა ენის საკითხებზე.

1915—16 წ.წ. საზოგადოების კრებებზე, რომელსაც ხშირად ისზე მეტი კაცი ესწრებოდა, ძალზე აქტიურად განიხილებოდა სალიტერატურო ქართულის სიდავო საკითხები. „ენის მცოდნებობაზე” ერთად საქმეში ჩაება ფართო საზოგადოებაც. ქართული გრამატიკისა და ლიტერატურის სანაქებო ცოდნას იჩენდა საზოგადოების თავმჯდომარებრივ უროჩანია.

საზ-ბის კრების ოქმები ქვეყნდებოდა პრესაში („კლდე“, „საქართველო“, „განათლება“, „სახალხო ფურცელი“...).

უურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ ვრცელ ინფორმაციებში დაწვრილებითაა გადმოცემული კრებებზე გამართული მსჯელობა. არქივში დაცული ოქმები კი ასეთი სრული არ არის. საზოგადოების არქივში დაცულია ერთო დიდი წიგნი, რომელშიც შეტანილია გამეცემისა (საბჭოს) და საერთო კრებების ყველა ოქმი. აქვე მოთავსებულია საგრამატიკო კომისიისა და კერძო თათბირების პირველი კრების ოქმები, ასევე წევრთა სიები. მა წიგნში ოქმები გადაუწერია 1914 წ. 30. XII-ის საბჭოს კრების დადგენილებით: „წარსული ოქმები გადაწერილს ერთ წიგნში“. (იმავე გვერდზე სქოლიოში შენიშვნაა: „ეს წიგნი გადაწერილია თანახმად მოყვანილი დადგენილებისა“). ეს ოქმები მოკლეა. მაგ., 1915 წ. 15 იანვრის კრების ოქმში წერია: „გაიმართო საუბარი ქართული მართლწერის შესახებ, რომელშიც მონაშილეობა მიიღეს პ. მირიანშვილმა, ს. დადიანმა, ს. გორგაძემ, მ. ეს. კარბელაშვილმა, დ. კარიჭაშვილმა, ა. ჭიჭინაძემ, ვ. ბარნოვმა“, ხოლო რა სა-

<sup>9</sup> ლ. გოლერ ი. ქ. დასახ. ნაშრ., გვ. 277.

10 საქ. ცსს, ფ. 2094, საქმე № 10, გვ. 66 v.

11 იქვე, გვ. 67.

პითხებს ეხებოდა ეს საუბარი, არ ჩანს. ამდენად, პრესაში გამოქვეყნებულ მასალას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. გაზეთებისათვის ამ მასალებს, როგორც ჩანს, ილია ბაკურაძე წერდა. 1915 წ. 8. V-ის საერთო კრების ოქმში ისეტ ცნობას ცხვდებით: „კრებაშ მაღლობა გადაუხადა სამის კრების მდივანს ილ. ბაკურაძეს მშვენიერი ოქმების შედგენისათვის... აგრეთვე ადგილობრივ გაზეთების რედაქციებს კრებების ანგარიშების ბეჭდვისათვის და დაავალა საბჭოს, სთხოვოს რედაქციებს შემდეგი ოქმები უფრო კრცლად ბეჭდონ (განსაკუთრებით მოხსენებები და კამათი) და, თუ მოსახერხებელია, განსაკუთრებული განყოფილება გაიჩინონ გაზეთში ან ეურნალში საგრამატიკო საკითხების მოწესრიგების საქმის სისტემატური სამსახურისათვის“<sup>12</sup>. საზოგადოებას კარგად ესმოდა ამ ოქმების მნიშვნელობა. 1916 წ. 2 აპრილის კრებაზე საზოგადოებო განუხილავთ ოქმების გაუმჯობესების საკითხი. გამოთქმულა აზრი, რომ „ამ ოქმებს დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში. საზოგადოებაში იყითხება ზოგჯერ ფრიად საგულისხმო მოხსენებანი, რომელთაც მნიშვნელობა ექნებოდათ ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში“<sup>13</sup>.

„ ამ კრცლი იქმებისა და სხვა მასალების გამოქვეყნებით ფართო საზოგადოებას საშუალება ეძლეოდა თვალი ელევნებინა, თუ როგორ მიმდინარეობდა მუშაობა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის.

ვფიქრობთ, არც დღევანდელი საზოგადოებისათვის იქნება ინტერესს მოკლებული, როგორ იდგამდა ფეხს ეს დიდი ეროვნული საქმე, რა საკითხები ისმოდა ამ სამოცდათი წლის წინათ ქემ საზ-ბისა და საგრამატიკო წრის კრებებზე, ვინ მონაწილეობდა ამ საკითხების განხილვაში, როგორ წარიმართებოდა მსჯელობა, რა გადაწყვეტილებას იღებდა კრება, ან რა ახალი საკითხები, იღები და აზრები იბატებოდა და საკითხთა განხილვისას, რა დონეზე იყო ქართული ენათმეცნიერული აზროვნება მე-20 ს-ის ათიან წლებში და სხვ. ინტერესს მოკლებული არც იმ ქართველ მოღვაწეთა გახსენება იქნება, რომელნიც ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საქმისათვის იღვწილდნენ. ესენი იყვნენ: პ. მირიანაშვილი, ს. გორგაძე, ივ. მაჭავარიანი, გრ. ყილშიძე, დ. კარიჭაშვილი, კ. კეკლიძე, ილ. ჭიჭიანიძე, ივ. რატიშვილი, ლ. ბოცვაძე, მიხ. ყიფიანი, მ. კელენჯერიძე, ს. დადიანი...

12 საქ. ცსა, ფ. 2094, ს. № 10, გვ. 15 ვ.

13 იქვე, გვ. 33 ვ.

ყოველიცე ამის წარმოსაჩენად უკეთეს საშუალებად მიგვაჩნია ქემ საზ-ბის კრებების ძალაშების გაცნობა. ნიმუშისათვის გამოვცემთ რამდენიმე კრების შინაარსს..

ქემ საზ-ბის კრება, რომელიც პირველად მიეძღვნა მთლიანად მართლწერის საკითხებს, ჩატარდა 1915 წ. 15 იანვარს. მსჯელობა ძირითადად ორგანიზაციული და პრინციპული ხისიათისა იყო: ზოგის აზრით, ამ საკითხზე ლაპარაკი ნააღრევი იყო საჭირო ძალების უქონლობის გამო (ს. გორგაძე). ზოგს სადაც საკითხთა გადაწყვეტაში უფლებამოსილად მიაჩნდა მხოლოდ სპეციალისტთა კრება (ს. დადიანი); სხვანი ფიქრობდნენ, დიდ ყრილობაში გრაბატივის წესების დადგენა შეუძლებელია, ეს საკაბინეტო საქმეა (გ. მირიანშვილი).

შემოთავაზებული იყო კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ თათბირის მოწვევა, რომელზედაც მეცნიერები შეთანხმდებოდნენ გარკვეულ საკითხებზე და შემდეგ უკვე ამის მიხედვით იმოქმედებდნენ სკოლაც და მწერლობაც (ა. ჭიჭინაძე).

ერთხმად აღინიშნებოდა სიჭრელე და ანარქია წერასა და ლაპარაკში, რომლის აღსაკვეთად, ი. იმედაშვილის აზრით, საუკეთესო საშუალება იქნებოდა მართლწერის ლექსიკონის შედგენა (ე. ი. ჭამოყენებულ იქნა ორთოგრაფიული ლექსიკონის შედგენის იდეა), მაგრამ, ვინაიდან მართლწერი მართლმეტყველებაზეა დამოკიდებული, ჭერ საჭიროდ იქნა მიჩნეული სწორი ლაპარაკის სწავლება (დ. კარიჭაშვილი). დაისვა ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხი და მოხმობილ იქნა ძველი ქართულის ვითარება, როცა ერთიან სალიტერატურო ენას ასასრულობდა ერთი (ჭართლის) სკოლა, რომლის ნორმებსაც ემორჩილებოდა ენა. აღინიშნა იმის საჭიროება, რომ ქართველ, მწერლებს შეესწავლათ ეს კლასიკური ენა (გ. მირიანაშვილი). სადაც საკითხების გადაწყვეტაში ძველ ქართულს მიეცა უპირატესობა (გ. კარბელაშვილი)<sup>14</sup>.

ათი დღის შემდეგ, 1915 წ. 25 იანვარს „მართლწერის საკითხებზე ბაასის გასაგრძელებლად“ დალავ იმუშავა საერთო კრებამა. ეს კრება უფრო კონკრეტულ საკითხებს შეეხო. ს. გორგაძემ ითხოვა ჭინწარ ორი საკითხის გარკვევა: 1. უფლებამოსილია თუ არა ეს კრება საბოლოოდ გადაწყვეტოს ჭამოყენებული საკითხები, თუ ასეთი გადაწყვეტა მიენდობა სპეციალისტთა ყრილობას. 2. არის თუ არა განს-

14 ეს მნიშვნელოვანი კრების შესახებ ცნობება გამოქვეყნეს: ქურნალშა „კლდემ“ (1915, № 2) და გაზეობა „სახალხო ფურცელშა“ (1915, № 187).

15 გაზეობა „სახალხო ფურცელი“ 1915 წ. 28 იანვრის ნომერში იქვეყნებს ცნობას ამ კრების შესახებაც.

წვევება სალიტერატურო ენასა და მართლწერას შორის, არსებობს თუ არა მარლოშერა, როგორც გრამატიკის განსაკუთრებული დარგი.

პირველი საკითხის გარშემო სხვადასხვაგვარი აზრი გამოითქვა: მ. ყიფიანის შეხედულებით, ეს საკითხი საბოლოოდ მეცნიერთა ყრილობამ უნდა გადაწყვიტოს. პ. მირიანაშვილმა, პირიქით, მეცნიერთა ყრილობა არ მიიჩნია ავტორიტეტულია — ქართული სტილის მეცნიერნი არა გვყავს. ივ. რატიშვილის აზრით, თუმცა მეცნიერთა მონაწილეობა აუცილებელია, მაგრამ მანამდე სკოლა და მწერლობა ვერ დაიცდიან და საჭიროა დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას. გრ. ყიფ-შიძემ შეუძლებლად მიიჩნია ენის საკითხების გადაწყვეტა კენჭის-ყრით. მისი აზრით, აჭობებდა კარგი მწერლების ნაწარმოებებიდან მაგალითების მოკრება და მათზე დაყრდნობა. ლ. ბოცვაძის აზრით კი, მეცნიერული გრამატიკის შექმნამდე საჭირო იყო საზოგადო წესების შემუშავება, რათა სახელმძღვანელოები ერთგვარი ენით ყოფილიყო დაწერილი.

მსჯელობის შედეგად კრება იმ გადაწყვეტილებამდე მივიდა, რომ:

1. ამთავითვე შესდგომოდნენ ქართულ მართლწერაზე საუბარს. 2. საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად მოწყვიათ ქართული ენის სპეციალისტთა ყრილობა. 3. ყრილობის მოსაწყვევად საზოგადოების საპროსოან შექმნილიყო სპეციალური „საგრამატიკო კომისია“.

მეორე საკითხზე — „არსებობს თუ არა მართლწერა, როგორც გრამატიკის ნაწილი“ — აზრი ძირითადად ორად გაყოფილა: პ. მირიანაშვილი და დ. კარიქაშვილი უარყოფნენ ქართულში ორთოგრაფიის არსებობას. მ. ჯანაშვილმა კრებას შეახსენა მ. ბროსეს აზრი, რომ: ქართული დიდად განვითარებული ენაა და ზედმიწევრით გაღმოსცემს ყველა ბეგრძალო. საჭიროა მომდევ აზრს ადგა ს. გორგაძე, რომელიც მაგალითების მოხმობით ისაბუთებდა ორთოგრაფიის არსებობას (ლაბარაქა და წერას შორის სხვაობაა ძეველ ქართულშიც და თანამედროვეშიც). პრინციპულად იმავე აზრს იცავდნენ: გრ. ყიფ-შიძე, მიხ. ყიფიანი, ივ. ელიაშვილი (მისი აზრით, ქართული მართლწერის სიმარტივე მოჩეკენებითა), ალ. ჭიჭინაძე, ქრ. ციცქაშვილი.

კრება იმ აზრს დაადგა, რომ „ქართული მართლწერა იყვენ მართლმეტყველება არ არის. ქართული ორთოგრაფია ცალკე არსებობს, როგორც ერთ-ერთი განსაკუთრებული დარგი გრამატიკისა“<sup>16</sup>.

კრებამ მოიწონა ივ. მაჭავარიანის წინადადება: კრების ოქმები იბეჭდებოდეს გაზეობშიც და ცალკე ფურცლებიდაც. ეს უკანასკნე-

<sup>16</sup> ქმ საზ-ბის კრების ოქმი, ცსსა ფ. 2094, საქმე № 10, გვ. 10-11. იხ. აგრეს ლ. გ. დ. რ. ა. ძ. ს. ცუბლიაცა: მასალები ქემ საზ-ბის სტორინისათვის, „საის-რორიო მომზე“, 1973, № 27-28.

თუ დაეგზავნოს სპეციალისტებს, რომლებიც ვერ შეძლებენ კრებაზე, დასწრებას, მაგრამ შეუძლიათ წერილობით მონაშილეობის მიღება.

1915 წ. 28 ოქტომბერის საერთო კრებაზე ს. გორგაძემ წაიკითხა. მოხსენება: „რა გზით შეძლება ქართული მართლწერის მოწესრიგება“. მომხსენებელს სავალდებულოდ მიაჩინა სამი პრინციპის დაცვა: 1. სალიტერატურო ენის ბაზისი ფონეტიკა. 2. როცა თვით ფონეტიკა გამოუკვეთდებოდა, უნდა ვეცადოთ არ შევასუსტოთ კავშირი თანამედროვე ფონეტიკისა და კანონზომიერი ფორმებისა. 3. თუ ახალ ფორმებს ძველ ქართულში არა აქვთ ანალოგია, უპირატესობა უნდა მიეცეს ამერულ ფორმებს.

ივ. მაჭავარიანის წინადადებით, კრებამ გადაწყვიტა, რომ საბჭო შესდგომიდა წინასწარ მუშაობას პრინციპულად სახმარებელი ქართული ლექსიკონის შესაღებად და სათანადო მოხსენება წარედგინა უახლოესი საჯარო კრებისათვის.

კრებამ დაავალი საბჭოს: „ქართული გრამატიკის სადაც ვითარების გამოსარკვევად“ შეედგინა კომისია (სპეციალისტებისაგან). ეს კომისია შეიმუშავებდა გეგმას და ეცდებოდა საქმეში ჩაება ქართული ენის ჟავლა სპეციალისტი.

საბჭომ ოპერატიულად შეასრულა კრების დავალება. 1915 წ. 9 მარტის სხდომაზე შეიქმნა ორი კომისია: „საგრამატიკო“ (ივ. მაჭავარიანი, პ. მირიანაშვილი, ს. გორგაძე, ქ. კიკელიძე, თ. უორდანია, გრ. ყიფშიძე, დ. კარიქაშვილი, შემდეგ, 1915 წ. 2. IV, დამატებით მოწვეულ იქნენ: ვ. ბარნოვი, მ. ყიფიანი, ივ. რატიშვილი) და „სალექსიკონო“ (ივ. ვართაგავა, იუსტ. აბულაძე, ქ. ყიფიანი, დ. კარიქაშვილი, მ. ჯანაშვილი)<sup>17</sup>.

1915 წ. 11 აპრილის საერთო კრებას პ. მირიანაშვილმა უკვე წარუდგინა ლექსიკონის შედგენის გეგმა და სანიმუშო კითხვეითი ფურცელი სათანადო მასალის შესაგროვებლად. დიდი კამათის შემდეგ კრება დაეთანხმა პ. მირიანაშვილის დებულებებს და საბჭოს დავალა მათი პრინციპულად განხორციელება, „საჭირო თანხის საშორენელად უკველი ლონისძიების გამონახვა და უცილებლი ხარჯის გაწევაც, მაგ., კითხვეითი ფურცელების დაბეჭდვა-გასავრცელებლად“<sup>18</sup>.

პ. მირიანაშვილის მიერ კრებაზე განსახილებული წარმოდგენილი გეგმა არქივში არ ჩაის (მას ზეპირად მოუხსენებია კრებისათვის), შეიძლება ამ გეგმის წერია დაწყებული იყოს № 29 საქმეში მე-17 გვერდად ჩატერებულ კითხვით ფურცელზე (საქმე № 29-ში თავმოყრილი იქმების ამონაწერები მართლწერის საკითხების შესახებ). მომდევ-

17 საქ. ცსა, ფ. 2094, ს. № 10, გვ. 76.

18 საერთო კრების ოქტომბერი, ცსა, ფ. 2094, ს. № 10, გვ. 13.

ნო მე-18 ფურცლად ჩართულია (მოცისფრო ქალალზე) „საჭირბო-როტო საგრამატიკო საყითხები“, საღაც აშკარად იცნობა პ. მირიანა-შვილი.

### სრულად გადმოვცემთ ამ ფურცლებს::

„მასალა ქართული ლექსიკონისათვის: 1. სოფელი, თემი. 2. სახლი (მიწური, ხისა, ქვითვირის), კარმიდამ. 3. საზღობა, ნათესაობა, ბეზობლობა. 4. შინური სქეონელი, ცხოველ-ფრინველები, მათი მოვლი. 5. ნიდირ-შეცები, ნადირობა. 6. ხენა-თესვა, ბალი, ბოსტანი, ხეხილი, ბოსტენული. 7. მიწა, წყალი (მიწის ცხოველი. თეუნელი და სხვ. წყლის ცხოველი თევზი და სხვ., წყალმიწიერი: გველი და სხვ.). 8. ტყე, ველ-მინდორი, ტყის ნაყ-ხილი, ან მინდვრის ხილი. მხალეული. 9. მთა, კლდე, ქვა, მაღნეული. 10. ზეპირსიტყვაობა, ისტორია, სარწმუნოება. 11. ბუნების მოვლენა, ზეცა, სამყარო. 12. იარაღი, ხელოსნობა.“

შემდეგ შემდგენელს დაუწყია ერთგვარი ინსტრუქციის წერა, მაგრამ მხოლოდ 4 მუხლი დაუწერია. დაუსვამს მე-5 ნომერი და შეუწვევტია. ტექსტი ასეთია: „შენიშვნა: 1. როცა რამდენსამე სოფელს საერთო სახელი ექნეს, მაშინ თემის აღსანიშვნები ის სახელი უნდა იქმნეს მოხსენებული სოფლის ზემდეგ. 2. სიტყვა ჩაწერილი უნდა იყვეს მარტივი მარტივად და რთული რთულ სიტყვად. ფრაზის ჩაწერა შეუძლებლია, სიტყვის მნიშვნელობის ახსნა ყოვლად საჭიროა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საერთოდ გავრცელებული არ არის ან საერთოსგან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. 3. როცა ჩანაწერი სიტყვა ქართულია, უნდა მიეწეროს მეგრულ-ჭანურ-სვანურ-აფხაზური თარგმანი, თუ ჩამწერი მეგრელი, ჭანი, სვანი ან აფხაზია, აგრეთვე რუსული ან სხვა ენის, თუ იცის, თანაბარი სიტყვა. 4. როცა სიტყვა უნდა ჩაწეროს ადგილობრივის ენით მეგრულ, ჭანურ, სვანურ ან აფხაზურად, მაშინ სიტყვის ჩამწერმა უნდა მიუწეროს ჭერ მისი ქართული გამოთქმა, მერე ქართული თარგმანიც, აგრეთვე თუ იცის, რუსული ან სხვა ენის თარგმანი...“<sup>19</sup>

### 18 გვერდად ჩიკერებულ სხვაგვარ ფურცელზე ჩამოწერილია:

„საჭირბორიო საგრამატიკო საყითხები: 1. პრეფიქსი სა და სუფიქსი ურ (ფანქრით მონაწერი: „უცხო სიტყ. ხმარების დროს“). 2. ნაცვალსახელთა ხმარება. 3. თანდებულები უ და თვნიერ. 4. კავშირები რომ, სად, რათა. 5. შემასმენელთა სართები ო, მეოქი, თქო. 6. მიმართვითი კილო ულვლილებისა. 7. დამიკიდებითი კილო. 8. ადგილის გარემოების და ზმნათა პრეფიქსების ურთიერთობა. 9. კავში-

19 ცისა ფ. 2094, ს. № 29, გვ. 17

რები თუმცა, რათვანაც და მათი ურთიერთობა უმთავრეს წინადაღებასთან. 10. მმართველობა ზმნებისა. 11. დროთა მიმდევრობა“<sup>20</sup>.

ამავე კრებაზე 3. მირიანაშვილს მოხსენებაც წაუკითხავს თემაზე: „თავსართი სა და დაბოლოება ური“ (ეს სათაური ემთხვევა ზემომოქვანილ „საგირბოროტო საგრამატიკო საკითხებში“ შეტანილ პირების საკითხს). სამწუხაროდ, ამ მოკლე ოქმში არ ჩანს, რა აზრს აფათარებდა მომხსენებელი და რა საკითხს ეხებოდნენ მოკამათენი.

ქვემ საზ-ზის საბჭოსა და „საგრამატიკო კომისიის“ გადაწყვეტილებით, საგრამატიკო კრებებისათვის უნდა მომზადებულიყო დასაბუთებული მოხსენება<sup>21</sup>. სწორედ ასეთი მოხსენება წარუდგინა კრებას მამა მელიტონ კალენჯერიძე 1915 წ. 6 და 7 მაისს. გინაიდან მოხსენება ვრცელი იყო, ორ ნაწილად იქნა წაკითხული: 1. „ქართული მართლწერა ჩვენს მწერლობაში“ (6 მაისს). 2. „ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოები“ (7 მაისს).

მოხსენებაში ქართული სილიტერატურო ენის მდგომარეობა მე-19 ს-ის მწერალთა მასალების მიხედვით იყო განხილული. მოხსენების დაწყებამდე პ. მირიანაშვილს განუცხადებია, რომ ამ ავტორებზე დაყარებით მსჯელობა სახითვათო იყო, რადგანიც მათ ქართული სკოლა არ გაეკლოთ. დასაყრდენი უნდა ყოფილიყო მდიდარი ტელი მწერლობა და ქართული ენის დედა-ძარღვი — ქართლის დიალექტი.

მოხსენებაში განხილული იყო შემდეგი საკითხები:

1. -დ/-თ-ს გაუმიჯნაობა;
2. -ება/-ობა დაბოლოებათა აღრევა (მონობა, დიდებულობა... და არა მონება, დიდებულება...);
3. პირის ნიშანთა არასწორი ხმარება (ხტყორუნეს, სჭობს... და არა ტყორცნეს, ჭობს...),
4. მიზეზისა და მიზნის აღმნიშენელი კითხვითი სიტყვების იღრევა (ასე რისთვის = რად ღონდები);
5. ბრუნვათა შეუთანხმებლობა (ყოველსავე ქართველს და არა ყოველივე ქართველს);
6. მსახლვრელის სრულ და შეკვეცილ სახეობათა აღრევა (ცრელს წინდებს, ჭრელ წინდებს);
7. არასწორი ფორმების შერჩევა (ცხელმძღვანელობ „ვეფხისტყაოსნით“ და არა... „ვეფხისტყაოსანს“);
8. დროის გარემოებითი წინადაღების უხეირო შემოკლება (რა შინ მოვკლ, დედა იწვა);
9. ორთოგრაფია (საღმოთ და არა სამღოთ, სისხლის სითხვად და არა სისხლის სათხვევლად, მახე და ბადეა და არა მახე და ბადია...);
10. დაბოლოებათა აღრევა: შესვაჭხ/შალიშს, „სხმით გარდასვლი-

20 ცისა, ფ. 2094, ს. № 29, გვ. 18.

21 არქივში დაცულია „საგრამატიკო კომისიის პირველი კრების ოქმი“ (ცისა, ფ. 2094, ს. № 10, გვ. 79), რომელშიც ნათელად, რომ შეკელობის შედეგად კომისია მიიღოდა ამ აზრამდე, რომ ყველაზე უმჯობესია საკითხების საჭარო კრებებზე ვანხილეა, ოღონდ იმ პირობით, რომ კრების იქმა ვრცლად დაიწეროს ხოლმე და თვითურელი კრებისთვის მოხსენება მზადდებოდეს წინდაწინვე.

თის" უკანონოდ ხმარება: გამეგრძელებინა და არა გამეგრძელებია და სხვ).

მსჯელობაში მონაწილეობა მიუღია: ალ. ჭიჭინაძეს, ს. გორგაძეს, გ. იმნაიშვილს, მ. ყიფიანს, ლ. ბოცვაძეს, დ. კარიჭაშვილს. ნათ ზოგ საკითხში მხარი დაუკერიათ მომხსენებლისათვის, ზოგი საკითხის შესახებ კი განსხვავებული აჩრი გამოთქმული. მაგალითად: 1. დ-ს თ-დ ქცევა პეიოლზმოვანების შედევია (ალ. ჭიჭინაძე); 2. -ება/-ობა „უეფხ-ისტყაოსანშიც“ მერყეობს. ჯერჯერობით მს საკითხის გადაწყვეტა ნაადრევია (პ. მირიანაშვილი); 3. „შემოქმედებითა“ ბრუნვის წინ ნაოცხაობითი იხმარება: ავს თვალით (პ. მირიანაშვილი); 4. ერთ არსებითამ რამდენიმე მსახლეობრივის ბრუნებისას უკანასკნელი მსახლე-რელი შეკვეცილი სახით იხმარება (ერთ საქათმეს) (ლ. ბოცვაძე); 5. წინადაღება „რა შინ მოველ, დადა იწვა“ შემოკლებული არ არის (დ. კარიჭაშვილი. მომხსენებელი დაეთანხმა); 6. გამეცეობინა ვნე-ბითის ფორმად და ასევე უნდა დარჩეს (ს. გორგაძე); 7. სწორია „თა-ნამედროვე“ და არა „თანამედროვე“ (ს. გორგაძე) და სხვ.

მ. კელანჯერიძის მოხსენების მეორე ნაწილი დაეთმო ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოების, კერძოდ, ს. ხუნდაძის, პ. კვიცა-რიძის, მ. განაშვილის გრამატიკების განხილვას. მომხსენებელი კვამა-თება გრამატიკების ავტორებს ზოგი გრამატიკული საკითხის გამო, უწუნებს ზოგ ტერმინს, ეხება სადაც საკითხებს (აღვიარებ / ვალა-რებ, -დენ / -დნენ...).

მომხსენებელმა საგანგებოდ განიხილა ივ. ჭავახიშვილის ენა და გამოთქვა შენიშვნები.

ქართული ენის გადაგვარების თავიდან ასაცილებლად მ. კელან-ჯერიძეს საჭირო პრაქტიკულ ორნისძიებად მიაჩნია: 1. ეროვნული სკოლისა და დისკიპლინის შექმნა. 2. დროვამოშვებით ქართული ენის მასწავლებელთა კრება და ანკეტირება. 3. სპეციალური უურნალის და-ასრება, რომელშიც განხილული იქნება ქართული გრამატიკის საკითხები. 5. საერთო გრამატიკის შედგენა და ხმარება. 6. დაკვირვება და სიურთხილე წერა-ლაპარაკის დროს.

მცხაობე დღეს, 8 მითის, გ. უორდანის მოთხოვნით, კამათი წარმ-გართა საქონების მიხედვით. იმსჯელებს: 1. -დნენ / -დენ დაბოლოება-თა შესახებ (ლ. ბოცვაძე, ქრ. ციცქიშვილი, მ. შალაშბერიძე). 2. მი-რიანაშვილი, ალ. ჭიჭინაძე, გ. იმნაიშვილი). 2. მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოების შესახებ (-იდგან/-ითგან). (3. მირიანაშვილი, ალ. ჭიჭი-ნაძე, გ. იმნაიშვილი). 3. „განვითარებითი ბრუნვის“ სახელწოდების, ფუნქციებისა და დაბოლოების (-დ/-თ) შესახებ 4. წევან/წვანას ფორმათა შესახებ (პ. მირიანაშვილი, გ. იმნაიშვილი).

ს. დადიანმა პრინციპული საკითხი — ენის კანონთა საკითხი — დაუყენა. ენის საფუძვლიანი ცოდნისა და სწორად წერის წყაროდ სამი რამ მიაჩნიათ: ქელი ქართული მწერლობა, ცოცხალი ენა და ფონეტიკა. მაგრამ აქაც ყველგან სიჭრელეა, ირ არის ერთფეროვნება, ერთგვარობა წერის ღროს. ასევეც ცოცხალ ენაში, კანონი ნორმაა. ის ასახავს იმას, რაც რამდენჯერმე განმეორებულა „მომეცით შე კანონი, რომ მის მიხედვით ვიხელდვანელოთ“.

მხოლოდ ერთი რომელიმე ფორმის მიჩნევას ურყევ საფუძვლად შეცდომად თვლიან ალ. ჭიჭიანაძე და, განსაკუთრებით, ილა ნაკაშიძე: „შესაძლოა ესა თუ ის ფორმა ძევლ მწერლობაში ან ცოცხალ ენაში მოიძებნებოდეს, მაგრამ შემოქმედის შეზღუდვა არ შეიძლება: თუ ის რამე ახალ ფორმას, კანონს შექმნის, მიღებულ უნდა იქნეს. იგრეთვე შეიძლება ჩერი სამშობლოს რომელსამე კუთხეში ახალი — სრულიად არყოფილი ფორმა შეიქმნას, ამგვარ რამეს ყველგან გზა უნდა მიეცესო“.

1916 წ. 8 იანვარს საერთო კრებაზე სტუდენტმა მიხეილ ხერხეულიძემ წაკითხა მოხსენება „ქართული მართლმეტყველება და წერა“. გაზით „საქართველოს“ 1917 წ. 28 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა მ. ხერხეულიძის ეს ნაშრომი რედაქციის შენიშვნით, რომ ავტორმა ეს დებულებანი ქემ საზ-ბის საგარო კრებას გააცნო.

მართლმეტყველებას და მართლწერას ზოგი მიჯნავდა, ზოგი ივივებდა. მ. ხერხეულიძე ამ უკანასკნელ აზრს ემხრობოდა. „სიტყვა „მართლწერას“ უყუოფნება აზრს: მართლმეტყველება მართულ წერა, დაწერა ისე, როგორც ვლაპარაკობთ“.

იგი იზიარებს პ. მირიანაშვილის დებულებას: სწორია და უნდა ვიხმაროთ „თებერვლის 19-ს“ და არა „19 თებერვალს“; ჭარბად არ უნდა ვიხმაროთ ნაცვალსახელები... ეგამათება ს. გორგაძეს ჟ- / ს-ს ხმარების წესების გამო.

არასწორად მიაჩნია: 1. ორმაგი უარყოფა: არაფერს არ ვაფენებ, რუსულის მიბაძვად თვლის. 2. ვერ და არ ნაწილაკთა აღრევა (ვერ მოვალ — არ მოვალ). 3. „მდედრობითი სქესის ფორმების“ ხმარება (მეფია, მთავრინა...). 4. სიტყვების აღრევა: რამდენი/რამოდენი, მქონე/მექონი. 5. კავშირების (რომელიც რომელსაც, რომა...) ხშირად ხმარება. 6. ფორმები: პასუხს კითხვაზე ძლევს, ხელს პირობაზე აწერს (სწორია: კითხვას, პირობას...).

1916 წ. 24 იანვარს გამეცემის სხდომაზე გადაწყდა, რომ 30 იანვარს საგარო კრებაზე გამართულიყო კამათი ქართული მართლწერის სადაც საკითხების გამოსარკვევად. საუბარს საფუძვლიდ უნდა დას-

დებოდა პ. მირიანაშვილის წიგნაკი „გახსოვდეს ჭერა-ლაპარაკის დროს“<sup>22</sup>.

მართლაც, 1916 წ. 30 იანვარს პ. მირიანაშვილმა საერთო კრებაზე წიგითხა მოხსენება ქართული მართლწერის თაობაზე. მოხსენება იძლენა და საყურადღებოდ მიიჩნია 150-კაციანმა კრებამ, რომ მნურვალე ტაშით დააგილდოვეს მომხსენებელი და სთხოვეს, სხვა დროსაც დაპატიჟებოდა იმ საკითხს. კამათში მონაწილეობა მიიღო 16 კაცმა (გ. იმნაიშვილმა, მ. ხერხეულიძემ, ოლ. სიხარულიძემ, მელანიამ, დ. კარიჭაშვილმა, დ. ჯაშა, გრ. ბურჭულაძემ და სხვ.).

პ. მირიანაშვილმა მოხსენებაში სხვათა შორის თქვა: „დღეს უეხო სკოლაში აღზრდილი ჩევენი ინტელიგენცია სხვაგვარად ფიქრობს, ლაპარაკობს და სხვაგვარად სწერს. ოქროპირად წოდებული ჩვენი მოღვაწე გრამატიკის სრულს უცოდინარობას იჩენს“<sup>23</sup>. იმ განცხადებას პრესაში კამათი გამოუწვევია.

1916 წ. 15 მარტს პ. მირიანაშვილს კიდევ ერთი მოხსენება წაუკითხავს შემდეგი სათაურით: „ილია და აკაცი ნუთუ მართლა მდაბიურის ენის შემოქმედნი იყვნენ“. მან მაგალითებით სცადა დამტკიცება, რომ „ილია და აკაცი ირ იყვნენ მდაბიო ენის შემქმნელები, რომ მათი წინაპრებიც მდაბიო ენითა სწერდნენ“. ცხარე კამათში ბევრმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ „ვერ დაარღვიეს ბ-ნ პ. მირიანაშვილის დებულებებით“, — გვაუწყებს ოქმი.

1916 წ. 23. II-ს საერთო კრებამ, მოისმინა რა იპ. ვართაგავას მოხსენება თემაზე: „სოფელი და სოფლელები სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობებში“, ერთხმად მიიღო მოხსენებლის წინადადება, რომ „ქემ საზ-ბა დაუყოვნებლივ შეუდგეს ქართველ კლასიკოსთა ნაწერებიდან თანამედროვე მწერლობაში უხმარებელ სიტყვების და ფრაზების ამოკრეფას და ამოკრეფილი მასალის პატარ-პატარა წიგნაკებად გამოცემას“<sup>24</sup>; კრებამ გამგეობას დაავალა პირველსავე კრებაზე პრაქტიკული ზომების დასახვა და ნება მისცა ამისთვის საჭირო თანხების გაღებისა.

მეორე დღეს, 24 იანვარს, გამგეობის კრებამ განიხილა ეს საკითხი, სახელმძღვანელოდ მიიღო კრების გადაწყვეტილება იმ დამატებით, რომ კლასიკოსთა ენის შესწავლასთან ერთად შესწავლილ უნდა იქნეს ხალხური ენაც. „ვადაწყდა შემდეგ მწერალთა ნაწერებიდან უხმარებელ, მწერლობაში ჭერ კიდევ ნეოლოგიზმებად დარჩენილი სიტყვების და ფრაზების (რამდენადაც ეს საჭიროა სიტყვის მნიშვნელობის გადასაზღვრავად) განვიხილავ და განვიხილავ მასალის გადაწყვეტილებას“<sup>25</sup>.

22 ცაჟა ფ. 2094, გვ. 100.

23 იქვე, გვ. 29.

24 საქ. ცაჟა ფ. 2094, ს. № 101, გვ. 25.

ლობის გასაგებად) ამოკრება: ს. მგალობლიშვილი (დაევალა იპ. ვართავავას), დ. კლდიაშვილი (დაევალა ქ-ნ ქ. ამირეგიბისას), დ. მაჩხანელი (დაევალა გ. ჩხეიძეს), ნ. ლომოური (დაევალა...)“.

გ. უორდანიას დაევალა ხალხური სიტყვების შეკრება, ხოლო ივ. როსტომშვილს — ლექსიკონიდან ამოკრება უხმარი სიტყვებისა.

საჭირო შემთხვევაში სიტყვების ამომკრებს შეიძლებოდა დანიშვნოდა პონორარი: დაბჭედილ სტრიქონში 1 კაპივამდე, 0,5 (ან ნაკლებ) სტრიქონში 0,5 ქ-მდე.

3. მირიანაშვილს, ვ. ბართვეს და საერთოდ ყველა მასწავლებელს ეთხოვა საქმეში ჩატარებული მოსწავლეები — შეძლებისზაგვარად სავალდებულო შრომად ჩატევალათ შესაფერი ნაშრომი.

1915-16 წლებში საზოგადოების მიერ ჩატარებული მუშაობას შედეგად მომზადდა ნიადაგი და გადაწყვდა ენის საკითხების გადასაჭრელად მეცნიერთა ყრილობის ჩატარება და ამ ყრილობის მოსამადებლად „საგრამატიკო ფონდის“ დაარსება. გამგეობა ყოველგვარ სახსარს ექვებდა ამ ფონდის შესაქმნელად. თავმჯდომარეს საერთო კრებისათვის მოუხსენებია, რომ „დეპუტატთა საკრებულომ გადაწყვიტა 1915 წლის ხარჯთაღრიცხვაში შეტანილ იქნეს ქვე საზ-ბასათვის 600 მანეთი. კრებამ დაადგინა მაღლობა მოახსენოს დეპუტატთა საკრებულოს, როგორც ამ ფულის გადადებისთვის, ისე დარბაზის მუქითად დამობისთვის და, ამასთანავე, დაავალა საბჭოს შუამდგომლობა დეპუტატთა საკრებულოს წინაშე იმის გამო, რომ ამ 600 მანეთის გარეშე მისცეს საზ-ბას გრამატიკული ფონდის შესაღვენად ცალკე თანხა. ასეთივე ოხოვნით საბჭომ უნდა მიმართოს კერძო პირთ უადამისებულებათ“. საზოგადოების საბჭოს 1915 წ. 16 მაისის კრების ოქმში დაცულია ცნობა, რომ საბჭომ გადაწყვიტა მის მიერ გამოცემული წიგნების შემოსავლის 30%-ის მოხმარება ამ ფონდის დასაპერსებლად. საბჭოს დამსახურება იყო ისიც, რომ საგრამატიკო ფონდის შექმნაში ღიდი ენთუზიაზმით ჩატარებული როგორც კერძო პირები, ისე სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულო და სხვ. მაგრამ 1917 წ. ყრილობის მოწვევა ვერ მოხერხდა.

1918 წლიდან საზოგადოებას ჩამოსცილდა ქართული კულტურის მეცნიერული შესწავლა და ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის ხელში გადავიდა. ამავე წლიდან საზოგადოებამ ახალი სახელწოდება — „საქართველოს კულტურისა და შრომის კავშირი“ — და ახალი წესდება მიიღო. ამ საკითხზე თავის მოხსენებაში 1918 წ. 6. II-ს გ. უორდანია ამბობს: „ქართული უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ქართულმა სამეცნიერო დაწესებულებებმა (მათ შორის ქვე საზ-ბამ) უნდა სოჭვან წმინდა მეცნიერული ხასიათის მუშაობაზე, მთელის

თავისი ძალ-ღონით უნდა ჩეგბენ პრაქტიკულ საქმიანობაში სამუშა-ლოს ასაღორძინებლად... საჭიროა მიტოვებულ იქნას წმინდა მეცნიე-რული საქმიანობა და დარჩეს მხოლოდ პრაქტიკული საქულტურო მოღვაწეობა... გარდა ამისა, საზ-ბაზ უნდა იკისროს ისეთი ფუნქციე-ბი, რომლებიც დღემდე არ შედიოდნენ მისი მოქმედების სფეროში, როგორიც არის პრაქტიკული საქმიანობა, საქართველოში ნივთიერი ძულტურის აყვავებისათვის ზრუნვა...<sup>25</sup>

მენევევების მმართველობის პერიოდში (1918—20 წ.წ.) საზო-გადოება ევლარ ახერხებს კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვა-წეობას, რადგანაც მას უხდება ბრძოლა არსებობისათვის. ამიტომ ზრუნვენ გახსნან სამხატვრო სახელოსნოები, წიგნის მაღაწიები, სა-კანცელარით ნივთების მაღაწიები... — იქამდეც კი, რომ ცდილობენ სასურასათო კომიტეტისაგან მიიღონ ნებართვა, რომ „მცხეთაში მოა-წყონ ფქვილის საფაქტო არა მაღალ ფასებში“ (1918. 6. III. კერძო თაბირის ოქმი).

მაგრამ ამ მძიმე ვითარებაშიც კი გიორგი ქორდანია ცდილობს მთლად უყურადღებოდ არ დატოვოს ენის საკითხები. როგორც კერძო თათბირის ოქმიდან ჩას (1918. 28. II.), მას ქართული ენის შემს-წავლელი კურსების დაარსების საკითხიც დაუსვამს, მაგრამ ნაადრე-ვად იქნა მიჩნეული გ. ქორდანიას ეს აზრი. 1918 წ. 5 ივნისს გამგეო-ბის კრებაზე განმეორებით იქნა განხილული ეს საკითხი და გადაწყდა: საკითხის მოგვარება დაევალოს კავშირის წევრს შ. გ. ტატიშვილს.

1919 წ. 26 ავგისტოს კულტურისა და შრომის კავშირის გამგეო-ბის კრებაზე ერთ-ერთ საკითხად განუხილავთ კირიონ კათალიკოსის ფონდის დაარსების საკითხი. გამოუტანიათ დადგენილება: „ეთნოგოს ანჩისხატის სამრევლო საბჭოს ხსენებულ მიზნისთვის შეგროვალი ფე-ლი გადასცეს კულტურის და შრომის კავშირს, რათა ეს უკანასკნე-ლი გაუძლევს ფონდის შეგროვების და გამგეობის საქმეს“<sup>26</sup>.

გისაბჭოების შემდეგ, 1921 წლიდან, საზოგადოებას დაუბრუნდა თავისი პირვანდელი სახელწოდებაც და წესდებაც და გააგრძელა მუ-შობა კულტურის ძეგლების შესწავლისა და დაცვის საქმეში. კელა-ვაც ბევრი რამ იყო განხრახული, მაგრამ ასეთი საქმიანობა დაეკისრა შესაბამის საბჭოთა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, ქვე საზ-ბა უფუნქციოდ დარჩა და 1928 წ. შეწყვიტა კიდეც არსებობა.

ვფიქრობთ, მოყვანილი მასალებიდანაც უნდა გამოჩენილიყო ის დიდი და მნიშვნელოვანი მუშაობა, რაც ქვე საზ-ბაზ გასწიო სალიტე-რატურო ენის ნორმალიზაციის საკითხთა მოსწერივიგებლად. ქართუ-

<sup>25</sup> ცაჲა, ფ. 2094, ს. № 10, გვ. 55—60.

<sup>26</sup> ცაჲა, ფ. 2094, ს. № 63, გვ. 6.

ლი სალიტერატურო ენის სადაც საკითხებზე მუშაობას სისტემატური, ორგანიზებული ხასიათი მიუცა. სწორ ვზახე დაღდგა სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საქმე. სწ-ბა სწორიად წარმართავდა, თანდათან სრულყოფდა, მეცნიერულ სახეს აძლევდა ამ მუშაობას; წარმოაჩენდა სალიტერატურო ენის სირთულეებს, თავს უყრიდდა სადაც საკითხებს, რომელთა შესახებ შსჭელობის საშუალება ეძლეოდა ცუკლა დაინტერესებულ პირს.

სადაც ფორმათაგან უფრო მართებულის შესარჩევად მიზანშეწონილ იქნა მიჩნეული დაპყრილობოლენენ ლიტერატურულ მასალას, ამკერებილს გამოჩენილ შექრალთა თხზულებებიდან. ასევე აღიარებულ იქნა ძევლი ქართულის მონაცემთა დიდი როლი ნორმათა დაღვენაში. ყველივე ეს კი სწორ პოზიციის დგომას ნიშნავს.

საჭარო კრებებზე დაისვა ბევრი გადაუღებელი საკითხი. საფუძველი ჩაეყარა მრავალ წამოწევებას, როგორიც იყო: ორთოგრაფიული ლექსიკონის შედგენა, „საგრამატიკო“ და „სალექსიკონი“ კომისიების შექმნა, სალექსიკონი მასალის ამოწერა და შეკრება, ისეთი ენობრივი ნორმების შემუშავება, რომელთაც კანონის ძალა ექნებოდათ, ენის მცოდნეთა ყრილობის მოწვევა, ყრილობის ჩასატარებლად „საგრამატიკო ფონდის“ შექმნა და სხვ.

ფართო აუდიტორიაში წაკითხულ იქნა საგანგებოდ მომზადებული 10 მოხსენება სალიტერატურო ენის მოსავარებელი საკითხების შესახებ და განხილულ იქნა მრავალი სადაც საკითხი, როგორც წმინდა ორთოგრაფიული, ისე მორფოლოგიურ-სინთაქსური და სტილისტიკური ხასიათისა. მაგ.: მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანი -ნენ / -ენ; მესამე ობიექტური პირის ნიშანი ჸ / ს; ფითარებითი ბრუნვის დაბოლოება -დ / -თ; -ება / -ობა დაბოლოების საკითხი; ხა- და -ურ-ი აფიქსების ხმარება; მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოება (-ითვან / -დან). არაერთგვარ მსაზღვრელთა რიგი, რთული წინადაღების კავშირთა გამოყენება: რომ, რად, რათა... მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება...

საზოგადოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სკოლებში ქართული ენის დაცვას<sup>27</sup>, ქართული ენის სიწმინდისათვის საზ-ბა მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ ქართული პრესის სათავეში ყოფილიყვნენ „ქართული ენისა კარგი მცოდნენი, ქართულად ნაკითხნი და ქართულს მწერლობაზედ აღზრდილნი“, უურნალ-გაზეთების რედაქციების ჰყოლოდათ სტილისტები და პერიოდულად ჩატარებულიყო მათი

27 საბჭოს ოქმი, 1916. 13. I. ცსსა, ფ. 2094, ს. № 10, გვ. 99.

თათბირები რედაქტორებთან ერთად პრესაში გამოქვეყნებული ტერმინების დასაღენად 28.

ცხადია, საზ-ბა მიზნად ვერ დაისახავდა ამ მრავალრიცხოვან საკითხთა საბოლოოდ გადატრის, მაგრამ თავისი მოღვაწეობით, შეუწელებელი მსრუნველობითა და დაუცხრომელი მუშაობით მან გამოაუნიშლა საზოგადოებრივი აზრი, ქართული საზოგადოების ყურალება გაამახვილა ენის პრობლემებზე.

რომ უფრო ნათელი ვაძეს, თუ როგორ ჰქონდა წარმოდგენილა საზ-ბას თავისი მიზანი და მოვალეობა, მოვიყვანთ ერთი ოქმის მასალებს.

1916 წ. 17 აპრილის საბჭოს სხდომაზე უნდა შემუშავებულიყო ინსტრუქცია ზაფხულში დაგეგმილი სამეცნიერო ექსკურსიისაონის მცხეთაში. იპ. ვართაგავა წინ აღუდგა ამ ექსკურსიას, რადგან, მისი აზრით, ივი დად ხარჯებს მოითხოვდა და მიზანს ვერ მიაღწევდა, ვინაიდან არ ჰყალიფიციური პირები, რომლებსაც ეცოდინებოდათ ისტორია, ხელნაწერების გარჩევა და წაკითხვა, ძეგლების აღწერა და მისი სტილის განსაზღვრა და სხვ. იპ. ვართაგავა გამოიქვემდის გულისტკვილს, რომ საზოგადოება ბევრ საქმეს ეჭიდება, ბევრი რაიმე წამოვიწყეთ (მაგ., ისტორიისა და ქართული ლიტერატურის ლექციების მოწყობა, საგრამატიკო სკიოთხების გარკვევა, ადათ-ჩეულებათი შესწავლა, გამომცემლობა და სხვ), დასრულებით კი ვერაფერი დაესრულეთო. საქმეს ბევრს ვიჩენთ, ენერგია კი ცოტა გვაქვს; უმჯობესია შევზღუდოთ ჩვენი მოქმედების ფარგლები. რათა იგი ნაყოფიერი იყოს.

იპ. ვართაგავას აზრს მხარი დაუჭირა სკ. ბერიშვილმა. მათ აზრს წინ აღუდგა ივ. რატიშვილი. საზოგადოება ახალი შექმნილია და ნივთიერად ჭერ მოულონიერებელი. ქართული კულტურა მრავალმხრივია (ეროვნული მესიკა, არქიტექტურა, მხატვრობა, ისტორია, ლიტერატურა). ეს საზოგადოება მიზნად ვერ დაისახავს ყველა ამ დარგის მეცნიერულ გამოკვლევას. სპეციალური კვლევა-ძეგება კი არა, მათი პოპულარიზაცია და ფართო მასებში მისაღმი სიყვარულისა და ინტერესის გაღვიძება არის საზ-ბის მიზანით.

თავის მხრივ, გ. უორდანიაც გამიარტავს, რომ საზოგადოების ამოცნაა ფართო მასებში ინტერესისა და სიყვარულის გაღვივება ჩვენი კულტურისადმი. ამ მიზანს საზ-ბამ მოღვაწეობა მიაღწია. აზც ერთი კრება რომელიმე სხვა საზოგადოებაში „არ მიძინარეობდა ისე ცოცხ-

28 საზოგადოების ანგარიში 1912—1915 წ. წ. მუშაობის შესახებ. ის. ლ. გოდერიძის პუბლიკაცია: მასალები ქაზ-ბის ისტორიისათვის, „საისტორიო მომცემები“, 1973, № 27-28.

ლად და მრავალრიცხოვნად”, როგორც ქვმ საზ-ბაში. არსად სხვა კართლ დაწესებულებებსა და კრებებში არ იყო დაცული მტკიცედ წესებრები, როგორც ჩერებს საზოგადოებაში. რაც შეეხება წამოწყებულ საქმეთა დაბოლოებას: „ჩვენ მოვყიდეთ ხელი საგრამატიკო საკითხებს, მაგრამ ჩვენი მიზანი არ იყო და არც შეგვეძლო მისი დაბოლოება, ჩვენ აღვძარით ამ საკითხებისადმი ფართო ინტერესი და ზოგიერთმა პირმა უკვე მოჰკიდა ხელი მის დამუშავებასო”<sup>29</sup>.

საზოგადოებამ არა მხოლოდ ამ მიზნის მიღწევა, არამედ გაცილებით მეტი შეძლო. მისი მოღვაწეობის შედეგად სალიტერატურო ენის სირთულეები გახდა არა ცალკეული პირის ან გაზირის მსჯელობისა და დასკვნების, არამედ სპეციალისტთა კვლევისა და გინსჭის საგანი. გასაკვირი არ არის, რომ ამ შუშაობას, როგორც ყოველ ახალ საქმეს, ჰქონდა ხარვეზებიც, მაგრამ ეს არა მთავარი. მნიშვნელოვანია ორგანიზაციული, სისტემატური შუშაობის დაწყება და ენის საკითხთა შესწავლა-განხილვა სპეციალისტთა მიერ, მეცნიერულ საფუძველზე დამყარება ამ დიდი საქმისა.

ქვმ საზ-ბაში და გ. უორდანის შუშაობის შესახებ პ. მირიან მევილი 1934 წლის 13 ოქტომბერს იკინებს: „ძალან დიდია ქვმ საზ-ბაშის როლი ქართული მართლწერის საკითხების გარკვევისა და პოპულარიზაციის დარგში. საზ-ბა რევოლუციიმდე, მის შემდეგაც დიდი ყერადღებით ეკიდებოდა ამ საქმეს; სწარმოებდა საგნის საზოგადოებასთან დაარსებულ სპეციალურ წრეში შესწავლა, აგრეთვე უფრო მნიშვნელოვან საკითხების საჭაროდ, საზოგადოების კრებაზე განხილვა, საქმეში ჩაბმულ იქნენ საგნის საუკეთესო მცოდნენი. ეს საუბრები საფუძლად დაედო ქართული მარლოტერის დარგში რამდენიმე სერიოზულ გამოკვლევას”<sup>30</sup>.

ხოლო შ. დაიდიანი 1934 წ. 10 ნოემბერს წერდა: „ქვმ საზოგადოებამ თავის დროშე ისეთი პოპულარობა მოიპოვა და ისეთი დიდი როლი ითამაშა, რომ თავის მორალური მნიშვნელობით გაუტოლდა იმ დროის ქართულ დიდ საზოგადოებრივ დაწესებულებებს, როგორიც „წერა-კითხების საზოგადოება“ იყო”<sup>31</sup>.

უკველაუერი ეს საზ-ბაში თავმჯდომარის გ. უორდანის დამსახურება იყო.

იბ. ვართაგავა ასე ახასიათებს გ. უორდანის: „ვის არ ახსოვს ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება და მისი აღზნე-

29 ცსა, ფ. 2094, ს. № 10, გვ. 111 ვ.

30 ცსა, ფ. 1813, სექ. № 378, ფურ. 1—3. მოვყიდეს ლ. გოდერიძის პუბლიკაციის მიხედვით, იბ. შეის, მასლები ქვმ საზ-ბას“ ისტორიისათვის, „საისტორიო მომბე“, 1873, №27-28, გვ. 352.

31 იქვე, გვ. 352.

ბული, გატაცებული, ენერგიით აღსავსე თავმჯდომარე გიორგი ქორდანია... იყო იყო განხორციელებული ენერგია, შეუჩერებელი მოძრაობა, სიმკვირცხლე. მას ემარჯვებოდა ცოცხალი შემოქმედებითი საქმიანობა. მასში ჩემფდა პრაქტიკული ნიჭი<sup>32</sup>.

გ ქუჩიშვილი, რომელიც ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საქმის მწარმოებლად მიიწვია ერთხანს გ. ქორდანიამ, იგონებს: „მე ყოველთვის მაკვირვებდა პატივცემულ გიორგი ქორდანიას თავდაუზოგავი მოღვაწეობა კულტურის ფონზე. არ თავილობდა არავითარ შავ სამუშაოსაც, ოღონდ წინ წაეწია საზოგადო საქმე.

გიორგი ქორდანია, როგორც მოწინავე იღების მატარებელი იდამიანი, მოურიდებელი მამხილებელი და მებრძოლი იყო ჩვენი ცხოვრების ყოველგარი უკუღმართობისა, გადაგვირებული ქართველი ინტელეგნციისა და რესიფიკატორებისა, რისთვისაც არა ერთი და ორი უსიამოენება რგებია „ჭილდოდ“. გიორგი ქორდანია დიდ მზრუნველობას იჩენდა ჩვენი დარბი მწერლებისადმი და მისი თაოსნობით თვითშეკრძობულობის დროს სახელოვან საბავშვო პოეტს შიო მღვიმელს გადაეხადა იუბილე, რომლის შემოსავლითაც დიდხანს უზრუნველყოფილი იქნა პოეტის ოჯახი.

არც მე და პოეტ ნოე ჩინკვეაძეს მოგვცებია გიორგის მორალური და ნივთიერი დახმარება ამა თუ იმ სახით<sup>33</sup>.

ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებისა და მისი ხელმძღვანელის გ. ქორდანიას წვლილი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საქმეში უდავოდ მნიშვნელოვანია ჯა სათანადო დაფუძნების ღირსეულია.

32 მოგვყავს ნ. თარსენიშვილის წერილიდან: „საზოგადოებრივა საქმიანობის უანგარო სიყვარულით“, სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, 1985, № 47-48, გვ. 140.

33 ექვე: გვ. 141.